

შპს „მცირე ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თბილისი, 2022

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	11
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	19
4. ძირითადი საშუალებები.....	20
5. ინვესტიცია	21
6. მარაგები	21
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	21
8. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები	22
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	22
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	22
11. ამონაგები.....	22
12. შეძენილი მომსახურების ხარჯი	23
13. სხვა ხარჯი	23
14. კურსთამორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი).....	23
15. სხვა შემოსავალი	23
16. ფინანსური რისკის მართვა	24
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	27
19. პირობითი ვალდებულებები	27
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	27

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „მცირე ენერჯი“-ის ხელმძღვანელებს და მფლობელებს,

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მცირე ენერჯი“-ის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მომზადებულია კომპანიის ლიკვიდაციის (მფლობელ კომპანიასთან შერწყმა) საფუძველზე და შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხის ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია მომზადების საფუძვლების შესაბამისად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტორებად ჩვენ დავინიშნეთ 2022 წლის 15 აგვისტოს და აღნიშნულიდან გამომდინარე, არ გვქონდა შესაძლებლობა დავკვირვებოდით 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ჩატარებული ძირითადი საშუალებების და მარაგების ინვენტარიზაციას. კომპანიის ძირითადი საშუალებების და მარაგების ღირებულება მისი აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგეს. კომპანიის ძირითადი საშუალებების და მარაგების ხასიათიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება ზემოთ აღნიშნულ თარიღებში ძირითადი საშუალებების და მარაგების რაოდენობასა და ღირებულებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირების შეტანა ძირითადი საშუალებების, მარაგების და მასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს

„პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. აგრეთვე, ვასრულებთ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს, რომლებიც აღნიშნული კოდექსით არის განსაზღვრული. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაზე, სადაც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ლიკვიდაციის (მფლობელ კომპანიასთან შერწყმა) საფუძველზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას. ამასთან, მიგვაჩნია, რომ არ არსებობს ისეთი ძირითადი საკითხები, რომელთა შესახებაც ცალკე ინფორმირებაა საჭირო.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენი პასუხისმგებლობა ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას არსებობის შემთხვევაში და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების

შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის სფეროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წარმოადგენს, შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას იქონიებენ მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მივმართავთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვახორციელებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირებას. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას, ფაქტების

დამახინჯებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაბამის შიდა კონტროლის სისტემას რათა დავგეგმოთ აუდიტორული პროცედურები რომლებიც არის შესაფერისი კონკრეტულ გარემოებებთან, მაგრამ არა იმ მიზნით რომ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე გამოვთქვათ მოსაზრება;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას. ასევე, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- დასკვნა გამოგვაქვს იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. აუდიტორის დასკვნაში ვალდებულები ვართ, რომ ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე იმ შემთხვევაში თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად. ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბებისა და ვადების, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგების, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც გამოვლენილ იქნა აუდიტის პროცესში.

ლევან ბერიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-660546)

შპს „ჯიემ კონსალტინგის“ სახელით

თბილისი, საქართველო

3 ოქტომბერი, 2022 წელი



შპს „მცირე ენერჯი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	2021	2,020
ამონაგები	11	3,515,569	3,103,420
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		18,709	7,324
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენა		(89,124)	(34,213)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(440,141)	(362,601)
ცვეთა და ამორტიზაცია	4	(205,755)	(245,962)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	12	(80,814)	(118,207)
საგადასახადო ხარჯი		(79,312)	(54,497)
სხვა ხარჯები	13	(10,135)	(21,128)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		2,628,997	2,274,136
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	14	(108,498)	(20,890)
სხვა შემოსავალი	15	22,295	96,964
მოგება დაბეგვრამდე		2,542,793	2,350,210
მოგების გადასახადის ხარჯი		(464,601)	-
წმინდა მოგება		2,078,192	2,350,210
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		2,078,192	2,350,210

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

მიხეილ ნიბლაძე



11-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მცირე ენერჯი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2,212,610	2,121,100
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,212,610	2,121,100
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივები	8	10,744	-
მარაგები	6	288,656	269,947
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	161,840	310,196
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	735,843	1,960,975
სულ მიმდინარე აქტივები		1,197,083	2,541,118
სულ აქტივები		3,409,692	4,662,218
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		758,114	258,114
გაუნაწილებელი მოგება		2,534,757	4,358,994
სულ კაპიტალი		3,292,872	4,617,108
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	116,821	1,677
საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები	8	-	43,433
სულ მიმდინარე ვალდებულებები		116,821	45,110
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,409,692	4,662,218

11-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მცირე ენერჯი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2020 წლის 1 იანვარი	815,579	2,008,784	2,824,363
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/შემცირება	(557,465)	-	(557,465)
წლის სრული შემოსავალი	-	2,350,210	2,350,210
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	258,114	4,358,994	4,617,108
საწესდებო კაპიტალის გაზრდა/შემცირება	500,000	-	500,000
წლის სრული შემოსავალი	-	2,078,192	2,078,192
გამოცხადებული დივიდენდი	-	(3,902,429)	(3,902,429)
2021 წლის 31 დეკემბერი	758,114	2,534,758	3,292,872

11-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მცირე ენერჯი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		2,542,793	2,350,210
კორექტირებები:			
ცვეთა	4	205,755	245,962
კურსთაშორის სხვაობისგან მიღებული ზარალი/მოგება		108,498	20,890
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		2,857,046	2,617,062
მარაგების ზრდა/შემცირება		(18,709)	6,236
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/შემცირება		148,356	(198,553)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/შემცირება		115,144	(6,668)
საგადასახადო აქტივების ზრდა/შემცირება		(54,177)	62,644
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,047,661	2,480,721
გადახდილი მოგების გადასახადი		(464,601)	-
გადახდილი დივიდენდი		(3,902,429)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(1,319,369)	2,480,721
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(294,677)	(62,698)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(294,677)	(62,698)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის გაზრდა		500,000	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება		-	(557,465)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		500,000	(557,465)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება		(1,114,046)	1,860,558
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,960,975	116,201
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(111,085)	(15,784)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	735,843	1,960,975

11-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მცირე ენერჯი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში 2012 წლის 06 ნოემბრიდან და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერია 404963107; იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ბესიკის ქ. N4, ბინა N48, ხოლო საწარმოს ფაქტიური მისამართია ქ.თბილისი, გიორგი ლეონიძის ქუჩა, N 2ა, სართული 3, ფართი N5.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს „სი-სი-ი-ეიზ ჰაიდრო VIII“ (ს/ნ 404620460), ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილს მფლობედა ფიზიკური პირი.

კომპანია ფლობდა შვილობილ საწარმოს. პარტნიორთა გადაწყვეტილებით 08.12.2021 წელს განხორციელდა შერწყმა.

ინვესტირებული საწარმოს დასახელება	რეგისტრაციის და საქმიანობის ადგილი	ინვესტიცია	
		წილობრივი მონაწილეობა	თანხა
შპს „პრაიმ ენერჯი“	საქართველო	100%	3,379,419
ინვესტიციის ზრდა/შემცირება	საქართველო		(3,379,419)
ინვესტიცია 31.12.2021			-
სულ:			-

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის გენერაცია (ჰიდროელექტროსადგურები მდებარეობს ქობულეთის რ-ნის სოფ. აჭში და ყვარელის რ-ნის სოფ. საბუეში მდ. ინწობაზე). კომპანია გამომუშავებულ ელექტროენერგიას აწვდის პირდაპირ მომხმარებელს და ასევე ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს.

კომპანიის საქმიანობა რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით. საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 მომზადების საფუძველი

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ფასს-ების შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების

გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანია არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ლიკვიდაციის (მფლობელ კომპანიასთან შერწყმა) საფუძველზე. კომპანიის 100% წილის მფლობელი შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII“-ის (ს/ნ 404620460) დირექტორის 30.11.2021 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო შერწყმის პროცესი, რომელიც დასრულდა 12.01.2022 წელს, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. შესაბამისად, მოცემული ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, კომპანია აღარ ფუნქციონირებს, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი.

ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.3 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2021 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

2.4 ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - „ქართული ლარი“ (GEL). შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით.

ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალში. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.0976	3.5040
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს	3.2766	4.0233

2.5 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს საღაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.6 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

მონაგები წარმოიშობა საწარმოს მიერ წარმოებული ელექტროენერგიის გაყიდვის შედეგად. იმის დასადაგენად აღიარდეს თუ არა ამონაგები, საწარმო იყენებს ხუთ საფეხურიან პროცესს:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- შესასრულებელი ვალდებულებების განსაზღვრა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება შესასრულებელ ვალდებულებაზე; და
- ამონაგების აღიარება, როდესაც შესასრულებელი ვალდებულება შესრულებული იქნება.

საწარმოს არ გააჩნია მრავალსპექტრიანი საქონლის მიწოდების ხელშეკრულება. მომხმარებელზე საქონლის მიწოდება ხდება უწყვეტად მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით.

ყოველი თვის ბოლოს, როგორც კი შესასრულებელი ვალდებულება შესრულდება, საწარმო ამონაგების სახით აღიარებს გარიგების ფასის იმ ნაწილს რომელიც მიაკუთვნა მოცემულ შესასრულებელ ვალდებულებას.

გარიგების ფასი არის ანაზღაურების ის ოდენობა, რომლის მიღების უფლებას საწარმო მოელის, რომ მოიპოვებს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. გარიგების ფასი არ მოიცავს მესამე მხარის სახელით მიღებულ თანხებს (როგორცაა, მაგალითად დამატებული ღირებულების გადასახადი).

2.7 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

2.8 გადასახადები

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი

მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა;
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები;

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასდება მისი თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლების შემდეგ;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს

შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა. აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ერთეული აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 3-5%;
- მანქანა-დანადგარები 10-20%;
- საოფისე აღჭურვილობა 10-20%;
- ავეჯი და მოწყობილობები 10-20%;
- სატრანსპორტო საშუალებები 10-20%;
- სხვა ძირითადი საშუალებები 10-15%;

სთუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადასინჯვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. საწარმოს საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ კლასიფიცირდება როგორც ამონაგები. შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის ამონაგებსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

2.10 ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები საწარმო იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. საწარმო ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის ან როდესაც ფინანსურ აქტივს და პრაქტიკულად ყველა რისკს და ფინანსური

აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გადასცემს. იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს და ფასს 15-ის შესაბამისად ფასდება გარიგების ფასით, საწარმო თავდაპირველი აღიარებისას ფინანსურ აქტივს და ფინანსური ვალდებულებას აფასებს რეალური ღირებულებით, დამატებული ან გამოკლებული გარიგების ის დანახარჯები (ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან.

ფინანსური აქტივები ფინანსური აქტივი საწყისი აღიარების შემდგომ კლასიფიცირდება და ფასდება:

- ამორტიზებული ღირებულებით;
- რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით; ან
- რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

წარსადგენ პერიოდში საწარმოს არ გააჩნდა რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარდება მოგებაში და ზარალში, აისახება ფინანსური ხარჯების, ფინანსური შემოსავლების ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომელიც აისახება სხვა ხარჯების შემადგენლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო საზღვრავს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. რომელიც ვლინდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. როდესაც მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლები აღმოჩნდება მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და აღიარდება ხარჯის სახით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. როცა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ ადგილი ექნება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულ შეფასებების ცვლილებებს და აღდგება გაუფასურების ზარალი, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა გაიზარდოს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე ისე, რომ გაუფასურების ზარალის კომპენსირების შედეგად აქტივის გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას (ამორტიზაციისა და ცვეთის გამოკლებით), რომელიც მიღებული იქნებოდა, წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

2.11 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმოს მარაგი შეფასებულია მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა დამატებული ღირებულების გადასახადისა), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. ყველა მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის საწარმო იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა აღიარდება უკუგატარების პერიოდში ხარჯად აღიარებული მარაგის თანხის შემცირებად.

2.12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია საქონლის რეალიზაციას ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

2.13 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.14 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული

სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

2.15 ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.16 კაპიტალის მართვა

კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლის მიერ განხორციელებულ შენატანს მასში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით. გაუნაწილებელი მოგება მოიცავს საანგარიშგებო და წინა პერიოდებში დაგროვილ და გაუნაწილებელ მოგებასა.

2.17 დივიდენდი

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს. გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

2.18 სარეზერვო და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

თუ კომპანია მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, ანაზღაურების აღიარება ხდება აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მიღება ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

2.19 ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა/და უმონტაჟებული მოწყობილობები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	საპროექტო- სადიეტო სამუშაოები	სულ:
ბალანსი 2020 წლის 01 იანვარი	99,252	8,631	1,101,810	2,021,929	10,947	-	168,677	3,411,246
შემოსვლა		59,869	17,179	5,985	550	-		83,583
გასვლა		(22,952)	-	(6,094)	(40)	-		(29,086)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	99,252	45,548	1,118,989	2,021,820	11,457	-	168,677	3,465,743
შემოსვლა	-	211,896	15,384	17,938	5,559	43,900	-	294,677
გასვლა	-	-	-	(9,640)	(1,107)	-	-	(10,748)
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	99,252	257,444	1,134,373	2,030,117	15,909	43,900	168,677	3,749,673
დაგროვილი ცვეთა								
ბალანსი 2020 წლის 01 იანვარი	-	-	(349,018)	(743,662)	(9,095)	-	-	(1,101,775)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	-	(73,525)	(171,382)	(1,055)	-	-	(245,962)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	3,055	40	-	-	3,095
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	(422,543)	(911,989)	(10,110)	-	-	(1,344,642)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	-	(73,297)	(130,049)	(1,677)	(732)	-	(205,755)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	12,226	1,107	-	-	13,333
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	(495,840)	(1,029,812)	(10,680)	(732)	-	(1,537,063)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
ბალანსი 2020 წლის 01 იანვარი	99,252	8,631	752,792	1,278,267	1,852	-	168,677	2,140,794
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	99,252	45,548	696,446	1,109,831	1,347	-	168,677	2,121,101
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი	99,252	257,444	638,533	1,000,305	5,229	43,168	168,677	2,212,610

5. ინვესტიცია

ინვესტირებული საწარმოს დასახელება	რეგისტრაციის და საქმიანობის ადგილი	ინვესტიცია	
		წილობრივი მონაწილეობა	თანხა
შპს „პრაიმ ენერჯი“ ინვესტიციის ზრდა/შემცირება ინვესტიცია 31.12.2021	საქართველო საქართველო	100%	3,379,419 (3,379,419) -
სულ:			-

შენიშვნა: კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების შედეგად, 08.12.2021 წელს დასრულდა შპს "პრაიმ ენერჯის" შერწყმა შპს "მცირე ენერჯისთან".

6. მარაგები

მარაგები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
ხარჯად აღიარებული მარაგი	70,416	53,844
მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	269,947	276,183
მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	288,656	269,947
მარაგი საკლასიფიკაციო ჯგუფების მიხედვით		
საწვავი	2,476	1,134
ძალოვანი გენერატორის ნაწილები და სხვა სათადაროგო ნაწილები	248,357	232,718.0
სპეც ტანსაცმელი	1,799	1,338.0
სამეურნეო მარაგები	36,024	34,757
სულ:	288,656	269,947

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	161,890	310,246
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(50)	(50)
სულ:	161,840	310,196

8. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე როგორც 10,744 ლარის საგადასახადო აქტივი და 43,433 ლარის საგადასახადო ვალდებულებები, შესაბამისად.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	725,743	110,757
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	10,100	1,850,218
სულ:	735,843	1,960,975

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	116,821	1641
ანგარიშ-ვალდებულებული პირები	-	36
სულ:	116,821	1,677

11. ამონაგები

ამონაგები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
შემოსავალი ელ. ენერგიის მიწოდებიდან	3,515,569	3,103,420
სულ:	3,515,569	3,103,420

12. შეძენილი მომსახურების ხარჯი

შეძენილი მომსახურების ხარჯი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ინფრასტრუქტურული ხარჯი	9,787	8,725
სწავლება-კვალიფიკაციის ხარჯი	10,703	3,600
კომუნიკაციის ხარჯი	2,571	2,668
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	29,205	23,000
ეკოლოგიური მოსაკრებლის ხარჯი	3,840	3,840
რემონტის ხარჯი	1,834	1,271
სამეურნეო ხარჯი	14,980	72,089
სხვა ხარჯები	7,895	3,014
სულ:	80,814	118,207

13. სხვა ხარჯი

ხარჯი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ძირითადი საშუალებები ჩამოწერის ხარჯი	508	2,039
ელ. ენერგ. დანაკარგების დღგ-ს ხარჯი*	4,641	18,987
სხვა ხარჯი	4,986	102
სულ:	10,135	21,128

14. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება	857	7871
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი ზარალი	(109,356)	(28,761)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო	(108,498)	(20,890)

15. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
შემოსულობა კაპიტალიზებული საქმიანობიდან	-	60,080
შემოსულობა საშემოსავლო გადასახადის შეღავათიდან	21,871	28730
ვალდებულებების ჩამოწერის შედეგი	424	8154
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	22,295	96,964

16. ფინანსური რისკის მართვა რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

საწარმო აწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს. საწარმოს ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია განმარტებითი შენიშვნების ნაწილში.

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	161,840	310,196
საგადასახადო აქტივები	10,744	-
ფული და ფულის ექვივალენტები	735,843	1,960,975
სულ ფინანსური აქტივები:	908,427	2,271,171
	-	-
ფინანსური ვალდებულებები		
ამორტიზებადი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები (სავაჭრო ვალდებულებების ჩათვლით)	116,821	45,110
სულ ფინანსური ვალდებულებები	116,821	45,110

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ექვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

საკრედიტო რისკების მართვა

საკრედიტო რისკების მართვა ხორციელდება საწარმოს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკის და პროცედურების შესაბამისად. ბანკში განთავსებული ფულადი სახსრებისა და ექვივალენტების საკრედიტო რისკების მართვა ხორციელდება ფულადი სახსრების განთავსების დივერსიფიკაციით და მსხვილ და სანდრო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით. საწარმო მუდმივად აკვირდება კლიენტების საკრედიტო ხარისხს და მისი პოლიტიკაა მხოლოდ ღირსეულ კონტრაქტორებთან ურთიერთობა, საკრედიტო პირობები მოიცავს 30 დღიან დიაპაზონს.

მიმდინარე საკრედიტო რისკების მართვა ხორციელდება ხანდაზმულობის ანალიზის და კლიენტების საკრედიტო ლიმიტის მიმოხილვით. საწარმოს მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მხოლოდ ერთ კლიენტს, რომელსაც ის აწვდის მის მიერ გამომუშავებულ ელექტრო ენერგიას. საწარმო არ ფლობს სხვა უზრუნველყოფილ ფინანსურ აქტივებს. (მაგ., წარმოებული აქტივები, ბანკში განთავსებული უზრუნველყოფილი ფულადი სახსრები და ექვივალენტები და სხვ.).

საწარმო მიმართავს ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელს სავაჭრო მოთხოვნასთან მიმართებით, რადგან იგი არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს. ეს მოდელი დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება. სავარაუდო საკრედიტო დანაკარგების გაზომვისას, სავაჭრო მოთხოვნა ფასდება ინდივიდუალურად.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (აღიარების შეწყვეტა) როცა აღარ არსებობს მათი ანაზღაურების გონივრული მოლოდინი ან ანგარიშ-ფაქტურის მიწოდებიდან 180 დღის განმავლობაში ანაზღაურების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც გონივრულ ეჭვს ბადებს გადაუხდელობის შესახებ.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. კომპანიამ 2021 წლის მაისის და ივნისის თვეებში, ყველა არსებული სესხი გადაიტანა ეროვნულ ვალუტაში, რითაც მინიმუმადე დაიყვანა სავალუტო რისკი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

კაპიტალის მართვა

საწარმო კაპიტალს მართავს უახლოეს მომავალში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საკუთარი საშუალებების ოპტიმიზაციის გზით საწარმოს მფლობელის მოგების მაქსიმალიზაციის მისაღწევად. საწარმოს კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს საკუთარ კაპიტალს (რომელშიც შედის საწესდებო კაპიტალი, რეზერვები და გაუნაწილებელი მოგება). კაპიტალის მინიმალურ რაოდენობაზე სავალდებულო მოთხოვნა არ არსებობს. კაპიტალის სტრუქტურის შეფასება ხდება ყოველწლიურად. ასეთი შეფასების ფარგლებში ტარდება კაპიტალის ღირებულების და კაპიტალის ყოველ კლასთან დაკავშირებული რისკის გაანალიზება.

საწარმო ახორციელებს კაპიტალის სტრუქტურისა მართვას და ცლილებებს ახდენს ეკონომიკური პირობებისა და მასზე დაქვემდებარებული აქტივების რისკების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შესანარჩუნებლად ან შესაცვლელად საწარმოს შეუძლია შეცვალოს დამფუძნებლებისათვის გადასახდელი დივიდენდის ოდენობა ან დაუბრუნოს კაპიტალი.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საწარმოს საქმიანობის ხასიათი, უწყვეტ რეჟიმში გამოიმუშაოს და მიაწოდოს მომხმარებელს ელექტროენერგია, არ შეცვლილა Covid-19 პანდემიის გავლენით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ლიკვიდაციის (მფლობელ კომპანიასთან შერწყმა) საფუძველზე. კომპანიის 100% წილის მფლობელი შპს “სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VIII”-ის (ს/ნ 404620460) დირექტორის 30.11.2021 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო შერწყმის პროცესი, რომელიც დასრულდა 12.01.2022 წელს, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. შესაბამისად, მოცემული ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, კომპანია აღარ ფუნქციონირებს, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

2021 და 2020 წლების განმავლობაში კომპანიას უფიქსირდება დაკავშირებულ მხარეებთან მცირე მოცულობის ოპერაციები, თუმცა ოპერაციები განხორციელებულია საბაზრო ფასებით.

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე, კომპანია არ აწარმოებდა სასამართლო დავებს.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ სრული საგადასახადო შემოწმების ჩატარება ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადის გათვალისწინებით.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ გამოშვებულია და დამოწმებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს.